ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ორშაბათი, 22 სექტემბერი | 1997 №114 (479) | ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიფიანს გუნდი შეუთხელდა

ნაკრებს ცხადაძე, კობიაშვილი და შოთა გამოაკლდნენ

დღეს დილით, 11 საათზე ჩვენი ეროვნული გუნდი მოლდოვას გაეშურება. ქართველებს ახლა სხვა თვალით გვიცქერიან — ხუმრობა ხომ არ არის, იტალიას ორი ქულა ავართვით და საქმე სახათაბალოდ გავუხადეთ, მაგრამ ის მატჩი უკვე ისტორიამ ჩაიბარა. წინ 24 სექტემბერი და უკანული მოლდოვაა. ჩვენებს ახლა იმის დამტკიცება მოუწევთ, რომ იტალიელები შემთხვევით არ შემოგვემწარნენ. დავით ყიფიანმა შეკრებაზე 23 ფეხბურთელი კი დაიბარა, მაგრამ საქმე ისე წავიდა, გუნდი ლამის ლაზარეთად ექცა.



კობიაშვილი თბილისში დარჩა

ფოტო: ფოლიანა ბაბუაშვილის

ისრაელიდან გამოძახებულმა აკაკი დევაძემ შემოთვალა — გამოძახებისთვის და ნდობისთვის ულრმესი მადლობა, მაგრამ ორიოდ დღეა, რაც ტრავმის შემდეგ ფეხზე დავდექი და ვერაფერში გამოვადგებითო.

ეროვნული გუნდის კაპიტანი კახა ცხადაძე, მოგეხსენებათ, იტალიელებთან მატჩისას მე-19 წუთზევე დაშავდა და შესაცვლელიც შეიქნა. მერმინდელი დღეები გაწყვეტილი კუნთის აღსადგენად უკმარი აღმოჩნდა და კაპიტანიც თბილისში დარჩა.

უკეთესი დღე არც მურთაზ შელიას ადგას. ალანიელმა, იტალიელ თავდამსხმელებს ბდღვირი რომ ადინა, რუსეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, მოსკოვის „დინამოსთან" ნეკნი გაიბზარა. მას მერე კვირაზე მეტი კი გავიდა, მაგრამ მურთაზი ჯერაც ვერ ვარჯიშობს მთელი დატვირთვით. გუშინაც, ეროვნული გუნდის წვრთნისას, ოდენ ნელ სირბილს დასჯერდა, უფრო სწორად, ყიფიანმა დაზოგა და დასასვენებლად გაუშვა. თუმცა მერე გაირკვა, რომ მურთაზი კიშინიოვში ნაკრებთან ერთად გაემგზავრება და ალბათ ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, შელიას მინდორზე გასვლა ძალიან უნდა.

ტრავმირებული კობიაშვილის თამაში ადრევე საეჭვო იყო, გუშინ კი საბოლოოდ გაირკვა — ლევანი მოლდოველთა წინააღმდეგ ვერ დაგვეხმარება. მის ნატკენ საზარდულს საფუძვლიანი მკურნალობა სჭირდება.

კიშინიოვში ვერც ალექსანდრე იაშვილი დაეხმარება ნაკრებს. იაშკას კუნთი აქვს დაზიანებული, ბარძაყზე ცოტა სისხლჩაქცევაც შენიშნება, რის გამოც დროებით მარცხენა ფეხს ველარ იხმარს. ახალგაზრდა თავდამსხმელს ერთი კვირა დასვენება და მკურნალობა მართებს, რათა მერე მეტოქეთა კარს ჩვეული ჟინით შეუტიოს.

ახლა ლეგიონერებზე ვთქვათ. „ჰოლანდელ ტყუპთაგან" შეკრებაზე მარტო არჩილი გამოცხადდა. რაც შეეხება შოთას, როგორც ყურმოკვრით შევიტყვეთ, იგი მოლდოვაში არ ჩავა, რადგან „აიაქსის" უფროსობა ჩვენებურებს ეაჯა თურმე, ძალზე საპასუხისმგებლო თამაშები გველის, არველაძე ძლიერ გვჭირდება და ამ ჯერზე ჩვენ დაგვითმეთო.

რაც შეეხებათ შვეიცარიელებს და ინგლისელებს — ნეშაძეს, ყველაშვილს, ქეცბაიასა და ქინქლაძეს, ისინი პირდაპირ კიშინიოვში ჩაფრინდებიან და ეროვნულ გუნდს იქ შეუერთდებიან. სხვა ლეგიონერები — დარასელია, ჩხეიძე და ჯამარაული შეკრებაზე დროულად გამოცხადდნენ. თუმცა, ჯამარა ისედაც კარგა ხანია თბილისშია და ბაზაზე ვარჯიშობს.

მოკლედ, პრობლემებმოძალებულმა ყიფიანმა გუშინ საღამოს მოლდოვისწინა თბილისური შეკრება საათნახევრიანი ვარჯიშით დასრულა. მცირე მოთლვის მერე

ფოტო: ფოლიანა ბაბუაშვილის

გუშინ დიღომში. ბოლო ვარჯიში კიშინიოვში გაფრენის წინ — გიორგი ჩიხრაძე სეხნია დარასელიას წინააღმდეგ

იყო თავბურთი, ორკარა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოთხკარაც კი. მერე ფეხბურთელებმა მეკარეებიც დასეტყვეს და წვრთნაც დამთავრდა. გუშინ ნაკრებს შერჩენილი 14 წევრიდან მხოლოდ გოგა გახოკიძეს არ უვარჯიშია. გუშინწინ რუსეთის ჩემპიონატში „ალანიასთვის" ერთობ სახეიროდ გარჯილი ნახევარმცველი ყიფიანმა შეგნებულად დასვენა.

ერთი სიტყვით, კიშინიოვს ეროვნული გუნდის 14 წევრი გაფრინდება:

მეკარეები — ტოგონიძე (ბათუმი), ჩხეიძე (ჰომბურგი); მცველები — კალაძე, ცქიტიშვილი, ლობჟანიძე, ჩიხრაძე, გუჩუა (ყველა დინამო), შელია (ალანია), შეყილაძე (ბათუმი); ნახევარმცველები — გოგიჩაიშვილი (დინამო), ჯამარაული (ტრაბზონსფორი), დარასელია (ჰაპოელი, თელ ავივი), გახოკიძე (ალანია); თავდამსხმელი — აჩიკო არველაძე (ბრედა).

მამუკა ძვანტალიანი

ამჯერად ორი მატჩია

ეროვნული თასის თითომატჩიანმა ოცდამეთორმეტედფინალმა მეთექვსმეტედფინალის მონაწილენი გამოავლინა:

კოდაკო — ყვარელი 2:1
ასკ — ხალიბი 97 2:0
ლოკომოტივი 2 — აკადემია 1:3
ცხინვალი — ბაია ჯიქები 3:2
ივერია — თორი 2:1
იმერეთი — ოქროს საწმისი 1:3
ჯუბა — ეგრისი 2:1
მერცხალი — ბათუმი 2 1:0
ჟინერი — იბერია 3:1
სქური — სამეგრელო 4:2
ფაზისი — კოლხეთი 2 1:2
საპოვნელა — მეშახტე 0:1

ეს შეხვედრები 19 სექტემბერს გაიმართა, გუშინწინ კი ფეხბურთის ფედერაციამ მეთექვსმეტედფინალის წილსყრა მოაწყო. გათამაშებაში პირველი ჯგუფის გუნდებიც ჩაერთვნენ, გამონაკლისები მხოლოდ ისინი არიან, ვინც ევროთასებზე თამაშობდა. ესენი თასისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან დაიწყებენ.

ამჯერად გამარჯვებულები ორი მატჩით გამოვლინდებიან. ფედერაციამ პირველი მატჩების გამართვა 23 სექტემბერს დათქვა, წილისყრამ კი გუნდები ასე დაწყვილა:

ლოკომოტივი — კოდაკო
სიონი — ასკ
ჟინერი — თსუ
დილა — ივერია
მორკინალი — ცხინვალი
მეტალურგი — აკადემია
ტორპედო— ოქროს საწმისი
მარგვეთი — ჯუბა
გურია — მერცხალი
ოდიში — სქური
სამეგრელო — კოლხეთი 2
მაღაროელი — მეშახტე

გამოუვა გუცაევს ფოკუსი?

ვლადიმერ გუცაევი კვლავაც საგონებელშია, უკვე მერამდენედ შეექმნა პრობლემა: აწყობილ, შეთამაშებულ შემადგენლობას ამჯერადაც რამდენიმე კაცი მოაკლდა: კიკნაძე ფეხნატკენია და მოლდოვაში ვერ გაემგზავრება, საჯაია ვერ ჩამოფრინდა, წერეთელი გუცაევმა 18-წლამდელთა ნაკრებს დაუთმო — კოპალეიშვილსაც საპერძნეთში მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის, ფოცხვერია და ზირაქიშვილი წითელ-ყვითლების გამოისობით დაისვენებენ, ცქიტიშვილი, გახოკიძე და იაშვილი ყიფიანმა ეროვნულ გუნდში გამოიძახა. მოკლედ, ახალგაზრდების ბაზიერს საფიქრალი მოეძალა — როგორ შეიკოს დანაკლისი. ზემოთ ჩამოთვლილების ნაცვალთა მოძიება კი იოლი ნამდვილად არ არის. თუმცა გუცაევი, ჩვეულებისამებრ, იმედს არ კარგავს და... ხუმრობს, ცხადია, ცოტა ნაღვლიანად — ყოველ თამაშზე 5-6 კაცის დაკლებას ისე მივეჩვიე, წარამარა ახალი გუნდის შექმნის სპეციალისტი გავხდი. ასეა თუ ისე, დღეს თბილისიდან სულ 14 ახალგაზრდა გაემგზავრება მოლდოვას:

მეკარეები: დავით გვარამაძე (მორკინალი), დავით ასლანაძე (ტორპედო), წინახაზელები: ირაკლი გემეზაშვილი, გივი დიდავა, ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით მუჯირი, რატი ალექსიძე (დინამო), შალვა ხუჯაძე, ლევან ქებაძე (ტორპედო), ირაკლი ვაშაკიძე, დავით პეტრიაშვილი (მორკინალი), გიორგი ქორიძე, ჯონი შალამბერიძე (თსუ) და მიხეილ აშვეთია (ალანია). კაცნაკლულებმა ვარჯიშზე ტრანსფერის მოლოდინში მყოფი ზაზა ზირაქიშვილი (დროებით „მორკინალში" ითამაშებს) დიამატეს. ბალტიისპირელები ლევან სილაგაძე და დათო ჩალაძე კი ნაკრებს კიშინიოვში შეუერთდებიან.

მოლდოვამდე ახალგაზრდულმა ჩემპიონატის ლიდერ თსუ-სთან წაიბურთავა. თამაში პირობითად თუ ითქმოდა: თითო ტაიმი 25-წუთიანი იყო და გუცაევი შემადგენლობის ოპტიმალურ ვარიანტს ეძებდა. შეხვედრა თავდაპირველად მცხეთაში კი დათქვა, მაგრამ სტადიონის პატრონთათვის წინასწარ ეს არ უცნობებია, ამათაც მოედანი მორწყეს და ატალახებული მინდორი სთამაშოდ უვარგისი შეიქნა. მეტოქეებს იქვე ახლოს, სოფელ ტუხრახის სტადიონზე მოუხდათ წასვლა. ტუხრახის მოუვლელმა მოედანმა კი ახალგაზრდულის თავკაცები დააფრთხო და მოთამაშეებისთვის ზედმეტი თავვამოდება არ უთხოვიათ.

პირველ ტაიმში გუცაევის გუნდი ასე გამოიყურებოდა: გვარამაძე, დიდავა, ვაშაკიძე, გოგობერიშვილი, ხუჯაძე, ალექსიძე, შალამბერიძე, ქებაძე, მუჯირი, ქორიძე, პეტრიაშვილი. ლიბერად ვაშაკიძე მოგვევლინა, საყრდენად შალამბერიძე, თსუ-ს დაცვის არევ-დარევა კი, აშვეთიას არყოფნაში, ქორიძესა და პეტრიაშვილს დაევალათ. მეორე ტაიმში კარში ასლანაძე ჩადგა, ხუჯაძემ მარცხენა ფლანგიდან გადმოინაცვლა მარჯვნივ, დიდავას ადგილზე რომელსაც სტოპერობა დაევალა, გოგობერიშვილმა ლიბერო ვაშაკიძე შეცვალა, მარცხნივ კი გემეზაშვილმა ითამაშა. ტრაპიძე მარცხენა ნახევარმცველად ალექსიძის ნაცვლად გაისინჯა, ქორიძის მაგიერ ზირაქიშვილი, თავდამსხმელ-გამთამაშებლებმა — პეტრიაშვილმა და მუჯირმა კი ადგილები გაცვალეს. სწორედ ამათი გათამაშებულითი გავიდა სტუდენტთა კარში ერთადერთი გოლი: პეტრიაშვილმა ბურთი ლამაზად მოათვინიერა, უკვე დაძრულ მუჯირს გააყოლა და ამის ზუსტმა დარტყმამაც არ დაახანა. თუმცა ამ დროისთვის (44-ე წუთი იყო) თსუ ორი გოლით იგებდა, ამ ორს კი სტუდენტებმა ბოლო წუთზე მესამეც მიამატეს და 3:1 გაიმარჯვეს. ერთხელაც ვიტყვი, რომ გუცაევს ეს შეხვედრა მხოლოდ ოპტიმალური შემადგენლობის დასადგენად სჭირდებოდა.

გუცაევს კაცნაკლული გუნდით ფოკუსები აღრეც ჩაუტარებია და ახლაც ამის იმედად ვიყოთ. თუმცა კი ახლა მართლაც მნიშვნელოვანი დანაკლისით გაეშურება მოლდოვას.

მერაბ მამულაშვილი

კიშინიოვი — პირდაპირ ეთერში

ბუნებრივია, გულშემატკივარი ოთხშაბათ საღამოს დიდი ინტერესით ელის, მით უფრო, რომ ხმა დაირხა, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი მატჩის ტრანსლაციას აპირებსო.

საქმეში გასარკვევად I არხის გენერალურ დირექტორს გიორგი ლეონიძეს დაეკავშირდით:

— პირველი არხი დიდი ხანია ცდილობს, ხალხმა კიშინიოვის მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი იხილოს. ცდა ნამდვილად არ დაგვიკლია და საქმეც თითქმის გაიჩარხა. დღეისთვის იმის თქმა შეგვიძლია, რომ საქმე 90 პროცენტით მოგვარებულია — ტრანსლაციისთვის საჭირო თანხა უკვე გამოვნახეთ, ახლა ისღა დაგვრჩა, როგორმე ხეირიანი კავშირი დავამყაროთ და მოლდოვიდან რეპორტაჟისთვის აუცილებელი სიგნალი შეუფერხებლად მივიღოთ. საამისოდაც საკმაო კეთდება, ასე რომ, მოლდოვა — საქართველოს გულშემატკივარი ალბათ იხილავს.

ოთხშაბათის მატჩი ჩვენი დროით 21 საათზე დაიწყება.

შესანიშნავი ძუკუ

საერთოდ, ამა თუ იმ საფეხბურთო მატჩის გადადების მრავალი მიზეზი არსებობს — საერთო-სახალხო გლოვით დაწყებული და ავდრით დამთავრებული, მაგრამ ამჯერად ისრაელის ჩემპიონატის მეექვსე ტურის ერთი შეხვედრა შაბათის ნაცვლად პარასკევს იმიტომ ჩატარდა, რომ... გიორგი დარასელია შაბათს თბილისში უნდა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ძუკუ კვლავ გამოიძახეს ეროვნულ გუნდში, რამაც ცხადია, მისი გუნდის, თელავივის „ჰაპოელის" თავკაცები საგონებელში ჩაადგო. ესენიც ლამის სახელმწიფო დონეზე ითხოვდნენ, ეგებ შაბათს ითამაშოს და მერე გამოეუშვებთო, მაგრამ ამჯერად საწადელს ვერ მიაღწიეს. სხვა გზა რომ ვერ ნახა, „ჰაპოელი" ადგილობრივ დონეზე დატრიალდა და ფეხბურთის ფედერაციას ბეით შიანის გუნდთან მატჩის ერთი დღით ადრე ჩატარების უფლება გამოსტყუა. ძუკუს გუნდი ტყუილად არ გარჯილა — სტუმრებმა ბეით შიანის „ჰაპოელი" 2:0 დაამარცხეს და ორივე საგოლე პასი ჩვენებურის, ანგარიშზეა. ახლა, ექვსი ტურის მერე, დარასელიას „ჰაპოელი" 14 ქულით პირველ ადგილზეა და ორ-ორი ქულით ასწრებს უახლოეს მდევარ-თანაკლუბელებს — ფეთახ თიკვისა და იერუსალიმის „ჰაპოელებს". რაც შეეხება თავად დარასელიას, ის ხუთი თამაშიდან 32,5 ქულით ლიდერობს საუკეთესო ფეხბურთელთა სიას, სადაც თითოეულ მატჩში მიღებული შეფასებები ჯამდება, სწორედ ამიტომაც იყო, რომ ბოლო ებრაულ გაზეთში, რომელიც ხელთ ჩაგვივარდა, ძუკუს ფოტოს უშველებელი წარწერა აშშენებს — შესანიშნავი ქართველი.

დევისის თასის ნახევარფინალები

აშშ — ავსტრალია 4:1

წყვილები: მარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — პიტ სამპრასი და ტოდ მარტინი (აშშ) 3:6, 7:6 (7:5), 6:2, 6:4
სამპრასი — პატრიკ რაფტერი 6:7 (6:8), 6:1, 6:1, 6:4
მაიკლ ჩანგი — მარკ ფილიპუსისი 7:6 (7:5), 7:6 (7:2)

შვედეთი — იტალია 4:1

წყვილები: იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი (შვედეთი) — ომარ კამპორეზე და დიგეო ნარგიზო (იტალია) 6:1, 6:1, 6:2
იონას ბიორკმანი — რენტო ფურლანი 4:6, 6:4, 6:0, 6:4
ტომას ენკვისტი — კამპორეზე 6:3, 6:7 (5:7), 6:3

შატჩები პირველ ჯგუფში ახპარეზობის უფლებისათვის: ზიმბაბვე — ავსტრია 3:2; ინდოეთი — ჩილე 3:2; ბელგია — საფრანგეთი 3:2; გერმანია — მექსიკა 5:0; რუსეთი — რუმინეთი 3:2; შვეიცარია — საბრერეთ კორეა 3:2; ბრაზილია — ზელანდია 5:0; კანადა — სლოვაკეთი 1:4.

ინგლისი

VII ტური

ლიდსი 0:1 ლესტერი
0:1 უოლში (35)

შეფილდი 0:0 ქოვენთრი

საუთჰემპტონი 1:1 ლივერპული
0:1 რიდლე (38), 1:1 დევისი (48)

ტოტენჰემი 0:0 ბლეკბერნი

ვესტ ჰემი 0:1 ნიუკასლი
0:1 ბარნსი (44)

ასტონ ვილა 2:1 დერბი
0:1 ბაიანო (15), 1:1 იორკი (73), 2:1 იოახიმი (75)

ევერტონი 4:2 ბარნსლი
1:0 სპიდი (12), 1:1 რედფერნი (32), 2:1 კადამარტედი (42), 3:1 სპიდი (77 პ), 3:2 ბერნარდი (78), 4:2 ოსტერი (84)

უიმბლდონი 0:1 კრისტალ პალასი
0:1 ლომბარდო (80)

ბოლტონი 0:0 მანჩესტერი

ჩელსი 2:3 არსენალი
1:0 პოიეტი (40), 1:1, 1:2 ბერხკამპი (45, 59), 2:2 ძოლა (60), 2:3 ვინთერბერნი (89)

ტურის მთავარი ამბავი, რაღა თქმა უნდა, საკვირაო ლონდონური დერბი იყო, თუმცა ვიდრე ამ შეხვედრაზე ვიტყვით, მანამდე მოკლედ შაბათის მატჩები მიმოვიხილოთ.

დერბი შაბათსაც იყო: ერთი სტადიონის, „სელჰერსტ პარკის" ორი მასპინძელი — „უიმბლდონი" და „კრისტალ პალასი" ზედაბოდნენ ერთმანეთს. საერთოდ, ეს სარბიელი „პალასს" ეკუთვნის, მაგრამ „უიმბლდონს" საკუთარი ბინა არ გააჩნია და რადგან ჩოგბურთის კორტებზე ფეხბურთის თამაში ვერ აკრძალულია, ისიც „სელჰერსტზე" თამაშობს. ასე რომ, სტუმარ-მასპინძელი ამ მატჩში პირობითი ცნება გახლდათ, თუმცა ოფიციალურად ყველაფერი ჯეროვნად ჩატარდა — „უიმბლდონმა" მასპინძელთა გასახდელში მოირგო ფორმა, „პალასმა" კი — სტუმართათვის განკუთვნილ ოთახში. რაც შეეხება თავად ფეხბურთს, აქ „სტუმრებმა" იმარჯვეს ქაჩალი ლომბარდოს კინკილა გოლით.

კინკილაო, ვთქვით, მაგრამ ლონდონის ეს მატჩი ტურის სამ შეხვედრაზე შედეგიანი კი გამოდგა. თუნდაც იმავე ლონდონში, ოღონდ მის ჩრდილო ნაწილში გამართული თამაში ავიღოთ. „ბლეკბერნი" დედაქალაქს ყველაზე შედეგიან და ყველა სასტუმრო მატჩის მომგებად ესტუმრა, მაგრამ „უათ ჰართ ლეინზე" ქულა რომ აიღო, მადლობა ეთქმის — იმდენად დიდი იყო მასპინძელთა უპირატესობა.

გოლი არც ბოლტონში გავიდა. სამაგიეროდ, წითელი ბარათი აფრიალდა ორჯერ, უფრო სწორად, ერთხელ, მაგრამ ორი მიმართულებით — კინკლაობისთვის მასპინძელთა საუკეთესო თავდამსხმელი ნათან ბლეიკი და სტუმართა მცველი გარი პალისტერი მსაჯმა 33-ე წუთზე გააძევა.

სამი 0:0-ის გარდა შაბათის სამი მატჩი 0:1 დამთავრდა. ლომბარდოს გუნდის გარდა სტუმრად მოიგო შუა კვირაში მადრიდის „ატლეტიკოსთან" ვაჟკაცურად დამარცხებულმა „ლესტერმა" და ქეცბაიას „ნიუკასლმა", თუმცა ჯორდთა ერთადერთი გოლი სწორედ ქართველის უპირველესმა კონკურენტმა ჯონ ბარნსმა შეაგდო მოჭრილი დარტყმით. რაც შეეხება თემურს, იგი დალგლიშმა ამჯერად შეცვლაზეც არ შეიყვანა, რითაც ფრიად გაანწყენა. „ლუტერის" სამქულიანი გოლი კი მისი კაპიტნის, სტივ უოლშის ანგარიშზეა.

სტუმრადვე იგებდა „დერბი ქაუნთი", რომლის იტალიელმა თავდამსხმელმა ფრანჩესკო ბაიანომ პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი შეაგდო, მაგრამ ბირმინგემელებმა თამაში გარდატეხეს და მოიგეს კიდეც.

ყველაზე შედეგიანი მატჩი კი ლივერპულში შედგა. „გუდისონ პარკს" პრემიერლიგაში პირველად მოთამაშე „ბარნსლი" 1953 წლის 1 იანვრის მერე ამ შაბათსღა ეწვია და თუმცა ორი გოლის გატანა მოახერხა, ორჯერ მეტი საკუთარ კარში მიიღო.

ახლა კი გუშინდელ მატჩზე. გახსოვთ „იმერული ესკიზები"? ბიჭო, მთელი წელი რომ ხმა არ ამოგიღია, ახლა რას იტყვიო, ეკითხებიან ერთ საწყალ მოწაფეს. ლამის ასევე იყო „არსენალის" მარცხენა მცველის ნაოჭელ ვინთერბერნის საქმე. ათასში ერთხელ კარში დამრტყმელმა გუშინ „სტემფორდ ბრიჯზე", მატჩის ბოლოსწინა წუთზე 20 მეტრიდან ისეთი გლივჯა, სამი დე გუი ვერას გახდებოდა. ეს ამ შეხვედრის ბოლო, მეხუთე გოლი იყო და „არსენალმა" 3:2 მოიგო.

დასაწყისში კი 1:1 იყო. ეს მოედანზე ინგლისელთა და უცხოელთა შეფარდება გაახლავთ, თუმცა ეს თანაფარდობა კუნძულელებისთვის სასირცხვილო რომ არ გახდა, მთლიანად არსენ ვენგერის დამსახურებაა — მან 7 ინგლისელი და 4 სხვა ათამაშა, გულტმა კი — პირიქით.

ანგარიში კი მინდორზე მყოფმა ერთადერთმა არაევროპელმა, ურუგვაელმა გუსტავო პოიეტმა გახსნა, როცა დაბერის თაურ პასს სიმენის კარიდან ნახევარ მეტრში დახვდა და „ჩელსი" დაანწყინარა. ტაიმის ბოლომდე ხუთი წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ „არსენალმა" ორი შეტევა მაინც მოასწრო. პირველად ჰოლანდიელმა დე გუიმ ზედ ხაზზე გააჩერა ჰოლანდიელი ბერხკამპის თაური, ჰოლანდიელისვე ოვერმარსის ჩაწოდებას რომ მოჰყვა. მეორედ კი ისევ ბერხკამპი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, რაიტის პასით მეკარესთან პირისპირ შევიდა და ამჯერად აღარ დაინდო თანამემამულე.

მეორე ტაიმი 14 წუთის დაწყებული იყო, როცა რაიტმა ჩელსელი მცველები ისე დაფეთა, ამათ პირდაპირ ბერხკამპს დასვეს ბურთი. დენისმაც დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ატარებს „მეთოფის" სახელს. მაგრამ ჩრდილოელ სტუმართა სიხარული ამჯერად ზუსტად წუთიერი გამოდგა — ვიალის ნაცვლად შესულმა მარკ ჰიუზმა მარჯვენა ფრთიდან ისეთი ჩაწოდა, ფეხის დახვდრებაღა აკლდა, რაც ძოლას როგორ შეეშლებოდა. მალე ბერხკამპთან უხეშობისთვის მსაჯმა ფრანგი ლებეფი მოედნიდან დაითხოვა და დარჩენილი დროც მეთოფეების უდიდესი უპირატესობით წარიმართა, თუმცა გოლი ბოლოსწინა წუთამდე არ გავიდა. მერე კი ვინთერბერნმა ისეთი დააქუხა, რის მეთოფე, მეზარბაზნე უნდა ერქვას.

მანჩესტერი	7	5	2	0	10:1	17
არსენალი	7	4	3	0	16:8	15
ბლეკბერნი	7	4	2	1	18:8	14
ლესტერი	7	4	2	1	10:5	14
ჩელსი	6	4	0	2	19:8	12
ვესტ ჰემი	7	3	1	3	10:9	10
ლივერპული	6	2	3	1	8:6	9
ნიუკასლი	4	3	0	1	5:4	9
ასტონ ვილა	7	3	0	4	8:10	9
კრისტალ პალ.	7	3	0	4	6:8	9
ქოვენთრი	7	2	3	2	7:10	9
ტოტენჰემი	7	2	2	3	5:9	8
ევერტონი	6	2	1	3	8:10	7
ლიდსი	7	2	1	4	8:11	7
დერბი	5	2	0	3	5:5	6
ბოლტონი	6	1	3	2	5:8	6
ბარნსლი	7	2	0	5	6:17	6
უიმბლდონი	6	1	2	3	6:9	5
შეფილდი	7	1	2	4	7:15	5
საუთჰემპტონი	7	1	1	5	5:11	4

პირველი დივიზიონი

მე-8 ტური. ჩარლტონი — ბრედფორდი 4:1; ქრიუ — ქუინზ პარკი 2:3; იფსვიჩი — სტოკი 2:3; სიტი — ნორვიჩი 1:2; მიდლსბრო — ბირმინგემი 3:1; ნოტინგემი — პორტსმუთი 1:0; ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი 2:4; პორტ ვეილი — ბერი 1:1; სტოკპორტი — პადერსფილდი 3:0; სანდერლენდი — ვულვერჰემპტონი 1:1; ტრანმერი — რედინგი 6:0; ვესტ ბრომი — სვინდონი 0:0

ნოტინგემი	8	5	1	2	12:5	16
სვინდონი	8	4	3	1	9:5	15
ვესტ ბრომვიჩი	8	4	3	1	8:6	15
შეფილდი	6	4	2	0	9:3	14
ბრედფორდი	8	4	2	2	12:13	14
ჩარლტონი	7	4	1	2	15:9	13
ბირმინგემი	7	4	1	2	12:6	13
სანდერლენდი	8	4	1	3	13:9	13
ქუინზ პარკი	7	4	1	2	10:10	13
ვულვზი	8	3	3	2	11:9	12
მიდლსბრო	6	3	2	1	10:6	11
პორტ ვეილი	8	3	2	3	9:9	11
ბერი	8	2	5	1	8:8	11
სტოკ სიტი	7	3	2	2	7:7	11
ნორვიჩი	8	3	1	4	6:14	10
პორტსმუთი	7	2	2	3	11:11	8
ტრანმერი	8	2	1	5	11:12	7
სტოკპორტი	8	1	3	4	10:11	6
იფსვიჩი	6	1	3	2	8:9	6
სიტი	7	1	3	3	10:12	6
ოქსფორდი	8	2	0	6	12:15	6
ქრიუ	7	2	0	5	10:13	6
რედინგი	8	1	1	6	4:18	4
ჰადერსფილდი	7	0	3	4	4:11	3

ჩვიდმეტ წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატი

ფინალი

ბრაზილია 2:1 განა

მესამე ადგილისთვის

ესპანეთი 2:1 გერმანია

ბატიგოლი, ბატიძელი, ბატიმცველი

იტალია

III ტური

ატალანტა 0:2 სამპდორია
0:1 ლეილი (1 პ), 0:2 მონტელა (63)

ბარი 0:0 ბოლონია

ემპოლი 1:0 ლაციო
1:0 მარტუსელო (11)

იუვენტუსი 4:0 ბრეშია
1:0 ზიდანი (7), 2:0 კონტე (35), 3:0 ინძაგი (39), 4:0 დელ პიერო (56)

ვიჩენცა 1:1 ნაპოლი
1:0 დი ნაპოლი (16), 1:1 ტურინი (17)

ინტერი 3:2 ფიორენტინა
1:0 რონალდო (45), 1:1 სეერენა (1 ტაიმის 46-ე), 1:2 ბატისტუტა (47), 2:2 მორიერო (72), 3:2 ჯორკაეფი (81)

რომა 3:1 ლეჩე
1:0 ტოტი (47), 1:1 პალმიერი (54), 2:1 დი ბიაჯო (62), 3:1 ბალბო (68)

პიაჩენცა 1:3 პარმა
0:1 კრესპო (1), 0:2 სენსინი (29), 1:2 შიენცა (45), 1:3 კრესპო (63)

უდინეზე 2:1 მილანი
0:1 კლუივერტი (4), 1:1, 2:1 ბირჰოფი (25, 84)

ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში „ფეიენოორდის" 5:1 გაცამტვერების შემდეგ „იუვენტუსმა", როგორც ჩანს, საბოლოოდ ირწმუნა, რომ კვლავ უძლიერესთაგანია და საერთაშორისო სარბიელზე მიღწეულ გამარჯვებას შინაური 4:0-იც მიაყოლა. გუშინ „ბებერ ქალბატონს" საბრალო „ბრეშია" შემოებღვენა. ანგარიში მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ დელ პიერომ პენალტი ვერ გაიტანა, ინძაგიმ კი ძელი შეარყია. მანამდე ტურინელთათვის ყველაფერი რიგზე იყო. თავიდან, კონტეს წაქცევისთვის დანაშნული ჯარიმა ზიდანმა მარცხენა ფრთიდან შეაგდო „ბრეშიას" კარში. მეორე გოლი კონტემ ინძაგის პასით ულამაზესი მაკრატელა დარტყმით გაიტანა. ეს იშვიათ სანახაობათაგანი იყო, რადგან ყველაფერი ძალიან სწრაფად და დინამიკურად მოხდა. კონტეს გოლის ფონზე ინძაგის თაური და დელ პიეროს მიერ ფეხით გატანილი, ჩვეულებრივ გოლებად გამოჩნდა.

„ბარი" — „ბოლონიას" შეხვედრაში გოლი არ გასულა, მაგრამ აღსანიშნავი ამბავი მაინც მოხდა და ის, ცხადია, ბოლონიელთა სუპერ-შენაძენ, რობერტო ბაჯოსთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ბაჯოძ თახაგუხდელები იძდეხჯერ და ისეთი მოხდენილი პასებით გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციებში, რომ გაუგებარი რჩება, რატომ დამთავრდა მატჩი უგოლოდ. მის მინი-შედეგრებს ვერ იყენებდნენ კოლივანოვი, ფონტოლანი, ნერვო და მათი სხვა თანაგუნდელები.

მომენტები ვერ გამოიყენეს რომაელმა ლაციოელებმაც, რომელთაც სტუმრად წაააგეს „ემპოლისთან". დედაქალაქელი ვარსკვლავები პროვინციაში უთუო ფავორიტის რახით ჩავიდნენ და ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, თამაშის დამთავრებისთანავე გამოჩნდა: საფინალო სასტვენი და ემპოლის ფეხბურთელების მეტოქეთა მაისურებზე ნადირობა ერთი გახლდათ. მათ სამოსი გაუცვალეს კაზირაგის, სინიორის, ბოკშიჩს, მანჩინის... თამაში კი მოუგეს. „ლაციოს" დაცვის ერთი შეცდომა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მათ კარს შემთხვეოდა ის, რაც დიდი გარჯისა და წვალების მიუხედავად მასპინძელთა კარს არ შეემთხვა. ამ შეხვედრაში რომაელთა კიდევ ერთი სახელოვანი ფეხბურთელი, „იუვენტუსში" თამაშით ცნობილი იუგოსლავიელი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს.

რომის მეორე გუნდმა, „რომამ" შინ თვალსაჩინოდ აჯობა „ლეჩეს". მართალია, მცველისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედების გამო თავიდან თერთმეტმეტრიანი დარტყმა მათ კარში დაინიშნა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა, შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მასპინძლებმა ერთი გოლი მაინც გაუშვეს, სამაგიეროდ, შეტევაში ისე აჯობეს მოწინააღმდეგეს, რომ რაიმე კითხვის ნიშანი არ დაუტოვებიათ.

„ლეჩეს" კარში მესამე გოლი რომაელმა არგენტინელმა აბელ ბალბომ გაიტანა. არგენტინული გოლებით დახუნძლული გამოდგა პიაჩენცაში გამართული შეხვედრაც, რომელიც რომის თამაშის მსგავსად 3:1 დამთავრდა, ოღონდ სტუმართა გამარჯვებით. სტუმარი „პარმა" გახლდათ და მისი სამივე გოლი არგენტინელებმა გაიტანეს, ორი ერნან კრესპომ, ერთი კი რობერტო სენსინიმ.

არგენტინელმა კიდევ ერთ შეხვედრაში ისახელა თავი, თუმცა ამ კაცისგან გოლი რომ ვერ გაიტანოს, სწორედ ის გავეკვირდება. საუბარია გაბრიელ ბატისტუტასა და ტურის ულამაზეს და უდაბნოელს შეხვედრაზე: „ინტერი" — „ფიორენტინა". ამ თამაშს იტალიელმა ჟურნალისტებმა წინასწარ, რონალდო ბატისტუტას წინააღმდეგ დაარქვეს. რონალდომ და ბატისტუტამ თითო გაიტანეს, საბოლოოდ გამარჯვება, 3:2 კი „სან სიროს" ბინადართ დარჩათ.

სტუმართა შემადგენლობაში თავიდან რუსი ანდრეი კანჩელსკისი აქტიურობდა. მან შეტევის მარჯვენა ფრთაზე გაილაღა და საჯარიმო მოედანს მიახლოებული სახიფათო პასებს აწვდიდა. სწორედ მან დაუგორა ბატისტუტას, როდესაც არგენტინელმა პირველად გაარტყა ძელს. ინიციატივა „ფიორენტინასი" იყო, ანგარიში კი „ინტერმა" გახსნა. ორმა მცველმა რონალდოსკენ მიმავალი გადაცემა ვერ ჩაჭრა და პირისპირ გასულმა ბრაზილიელმა თავისი შანსი, ბუნებრივია, ხელიდან არ გაუშვა.

ფლორენციელებმა მყისვე გაქვითეს, სერენამ დაარტყა ზუსტად, შემდეგ კი ბატიგოლიც ამოქმედდა, შესვენების შემდეგ, რატომღაც გამოდევნებულ, „ინტერის" გოლკიპერ პალიუკას გაასწრო და მახვილი კუთხიდან ბურთს კარის ზაზი გადააკვეთინა. ასე დაწინაურდნენ სტუმრები, თუმცა დაწინაურება მაშინ გენახათ, ბატისტუტასა და ოლივეირას ძელისთვის გარტყმის მაგივრად რამდენიმე სანტიმეტრით უფრო მიზნისკენ რომ მიემართათ ბურთი.

ცნობილია, ფეხბურთის სული აშკარა მომენტების ქარისთვის გატანებას ვერ ეგუება და დაუდევართ სჯის. დაისაჯა „ფიორენტინაც", მორიერომ გაუთანაბრა, ბოლოს კი ჯორკაეფის ჯერიც დადგა. ფრანგმა იურომ, აშკარა თამაშგარეში მდგომმა, მეტოქესგან მიიღო ბურთი, გაიქცა და შეაგდო. თანამსაჯმა ალამი აღმართა, მთავარმა არბიტრმა ჩათვალა, „ინტერის" გაცეცხლებულმა მეკარემ კი იმ თანამსაჯს ლამის იყო, ტაისონისებურად მოსდო. ბატისტუტა გადაღობა, თორემ...

			პაპუნა ქედია			
ინტერი	3	3	0	0	9:5	9
იუვენტუსი	3	2	1	0	6:0	7
პარმა	3	2	1	0	7:3	7
რომა	3	2	1	0	6:2	7
სამპდორია	3	2	1	0	7:4	7
ფიორენტინა	3	2	0	1	8:6	6
უდინეზე	3	2	0	1	6:5	6
ლაციო	3	1	1	1	3:2	4
ატალანტა	3	1	1	1	6:6	4
ვიჩენცა	3	1	1	1	5:5	4
ნაპოლი	3	1	1	1	3:4	4
ემპოლი	3	1	0	2	3:5	3
მილანი	3	0	2	1	3:4	2
პიაჩენცა	3	0	1	2	4:7	1
ბოლონია	3	0	1	2	4:8	1
ბარი	3	0	1	2	1:5	1
ბრეშია	3	0	1	2	4:9	1
ლეჩე	3	0	0	3	2:7	0

სერია B

მე-4 ტური. დი სანგრო — ფ. ანდრია 3:3; ფოჯა — რეჯინა 3:2; ჯენოა — კიევო 1:1; ლუკეზე — პადოვა 2:0; პესკარა — ტორინო 3:0; რავენა — ანკონა 2:0; სალერნიტანა — რეჯანა 4:0; ტრევიზო — მონცა 3:0; ვენეცია — პერუჯა 2:0; ვერონა — კალიარი 2:1

ვენეცია	4	3	0	1	6:2	9
სალერნიტანა	4	2	2	0	8:2	8
პერუჯა	4	2	1	1	5:3	7
კალიარი	4	2	1	1	5:3	7
ლუკეზე	4	2	1	1	5:3	7
ფ. ანდრია	4	2	1	1	8:7	7
კიევო	4	2	1	1	3:2	7
ანკონა	4	2	1	1	6:6	7
ვერონა	4	2	1	1	5:5	7
დი სანგრო	4	1	3	0	6:5	6
რავენა	4	1	2	1	4:3	5
ტრევიზო	4	1	2	1	4:3	5
ფოჯა	4	1	1	2	5:6	4
პესკარა	4	1	1	2	4:5	4
რეჯინა	4	1	1	2	3:4	4
მონცა	4	1	1	2	4:7	4
ტორინო	4	1	1	2	3:6	4
რეჯანა	4	1	1	2	2:6	4
ჯენოა	4	0	1	3	4:8	1
პადოვა	4	0	1	3	1:5	1

ჰოლანდია

VI ტური

ეინდჰოვენი 4:3 სპარტა
1:0 დე ბოერი (24, 35), 3:0 ონ	ი (53), 4:0 კოკუ (57), 4:1 რენფურმი (67), 4:2 ნოორლანდერი (88)

ტილბურგი 5:2 ვოლენდამი
0:1 ტუმანი (3), 1:1, 2:1 კოლკა (26,32), 2:2 ტუმანი (47), 3:2, 4:2 არსი (56, 66), 5:2 კოლკა (82)

სიტარდი 1:0 გაარფსხაპი
1:0 პამინგი (2)

ნაიმეგენი 1:4 აიაქსი
0:1 ოლისე (4), 1:1 ეიკერენი (7), 1:2, 1:3 ლეტმანენი (34, 40), 1:4 ლაუდრუპი (73)

ტვენტე 1:0 მაასტრიხტი
1:0 ბოოგმა (74)

ვალვაიკი 3:1 უტრეხტი
0:1 ვან მოლი (55), 1:1, 2:1 ვან არუმი (71, 74), 3:1 ვან დერ ლუგტენ (90)

გრონინგენი 1:1 ვიტესი
0:1 მახლასი (4), 1:1 ბუიზინგი (59)

როდა 0:2 ჰერენვეინი
0:1 ულ ხატაბი (76), 0:2 ვბიედე (85)

აიაქსი	6	6	0	0	28:3	18
ჰერენვეინი	6	4	2	0	10:3	14
ტვენტე	6	4	2	0	10:4	14
ეინდჰოვენი	6	3	3	0	16:7	12
ვიტესი	6	3	2	1	13:9	11
ფეიენოორდი	5	3	2	0	9:2	11
როდა	6	3	0	3	8:9	9
გრონინგენი	6	2	2	2	11:10	8
ვალვაიკი	6	2	2	2	9:11	8
ბრედა	5	2	1	2	6:7	7
ნაიმეგენი	6	2	0	4	5:12	6
სპარტა	6	1	2	3	11:11	5
გრაადფსხაპი	6	1	2	3	4:6	5
ვოლენდამი	6	1	2	3	5:14	5
სიტარდი	6	1	2	3	3:13	5
ტილბურგი	6	1	1	4	8:13	4
უტრეხტი	6	1	1	4	9:18	4
მაასტრიხტი	6	0	0	6	3:16	0

დანია

მე-9 ტური: სილკებორგი — ლუნგბიუ 0:0; ოლბორგი — იკასტი 2:2; ორჰუსი — აბ კოპენჰაგენი 1:1; ბრონდბიუ — ვეილე 1:2; კოპენჰაგენი — ფრემადი 1:1; ჰერფოლგე — ოდენსე 4:1

კოპენჰაგენი	9	6	3	0	23:10	21
სილკებორგი	9	5	4	0	14:7	19
ვეილე	9	6	0	3	15:11	18
აბ	9	4	4	1	17:10	16
ბრონდბიუ	9	5	0	4	22:15	15
ლუნგბიუ	9	4	2	3	18:24	14
ოლბორგი	9	3	3	3	16:13	12
იკასტი	9	3	2	4	17:21	11
ჰერფოლგე	9	3	1	5	14:22	10
ორჰუსი	9	2	1	6	12:16	7
ფრემადი	9	1	2	6	14:21	5
ოდენსე	9	0	2	7	6:18	2

ნორვეგია

23-ე ტური: ბორდო გლიმტი — რუსენბორგი 2:2; ლილესტრიომი — კონგსვინგერი 1:3; ბრანი — სოგნდალი 4:1; მოლდე — ლინი 3:0; სკეიდი — ჰაუგესუნდი 0:3; სტრომსგოდსეტი — სტაბეკი 2:0; ვიკინგი — ტრომსო 1:1

რუსენბორგი	23	15	7	1	74:18	52
სტრომსგოდს.	23	13	3	7	53:36	42
მოლდე	23	12	6	5	41:31	42
ბრანი	23	12	5	6	50:34	41
სტაბეკი	23	12	4	7	29:30	40
ბოდო გლიმტი	23	9	6	8	34:29	33
კონგსვინგერი	23	9	5	9	36:44	32
ვიკინგი	23	7	10	6	37:28	31
ლილესტრიომი	23	8	5	10	32:40	29
ტრომსო	23	6	10	7	36:36	28
ჰაუგესუნდი	23	7	5	11	26:34	26
სოგნდალი	23	5	5	13	29:55	20
ლინი	23	3	5	15	23:51	14
სკეიდი	23	3	4	16	26:60	13

სარეკლამო სააგენტო
კოპი და კოპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

კაიზერმა ტრადიციაც დაივიწყა

გერმანია

VII ტური

კარლსრუე 2:4 კაიზერი

0:1 რატინიო (19), 0:2 ვაგნერი (33 პ), 1:2 პეასლეერი (50), 1:3 კუკა (52), 2:3 კეულერი (57), 2:4 რაიხი (90)

მიუნხენ 1860 0:1 დუისბურგი

0:1 ციაერი (4 პ)

ბოხუმი 2:1 ვოლფსბურგი

1:0, 2:0 პუტვეკერი (16, 25), 2:1 პრიგერი (51)

შალკე 2:2 ჰამბურგი

1:0 გუსენსი (8), 1:1 დემბინსკი (31), 1:2 სალიპამეჯიჩი (35), 2:2 ანდერბრუგე (62 პ)

კიოლნი 1:3 ბაიერნი

0:1 იანკერი (11), 0:2 ნერლინგერი (21), 1:2 ტრეფშოკი (32), 1:3 შოლი (90)

არმინია 2:1 ლევერკუზენი

1:0 კუნეი (12 პ), 1:1 კირსტენი (43 პ), 2:1 ფუში (79)

ვერდერი 2:1 დორტმუნდი

1:0 ტოდტი (2), 2:0 პეროგი (23), 2:1 რიკენი (40)

ჰანზა 4:0 ჰერტა

1:0 ლანგე (11), 2:0 მაიაკი (43), 3:0, ზალმანი (63), 4:0 პამიჩი (28)

შტუტგარტი 3:0 გლადბახი

1:0, 2:0 ბობინი (18, 20), 3:0 ბალაკოვი (47)

ყველასთვის მოულოდნელმა ლიდერმა „კაიზერსლაუტერნმა" თავის დაუმარცხებელ შეხვედრათა სერიას მეშვიდე მატჩი დაამატა. კარლსრუეში მისი გამარჯვება სატურნირო ცხრილის გარდა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ „კაიზერს" ამ ქალაქში მთელი 22 წელიწადია წარმატებისთვის არ მიუღწევია. მეტიც, სულ ორჯერ აქვს მოგებული. მეორედ ახლა, პარასკევს გაიმარჯვა, პირველად კი 1975 წელს — 5:3. „ვილდჰარკშტადიონის" 33 ათასი ბინადარის განაწყენებით ოტო რეჰაგელის გუნდი იმ ერთადერთ ბუნდესლიგელად რჩება, რომელსაც მოედანი თავჩაქინდრულს ჯერ არ დაუტოვებია.

წელშია გამართული მიუნხენის „ბაიერნიც". „კიოლნთან" მისი გამარჯვება შვიდი ტურის წინ დაწყებულ პირველობაზე ზედიზედ მეხუთე გამოდგა. კიოლნელთა მწვრთნელს, პეტერ ნიურურერს, წინასწარი ცნობით, ამ შეხვედრაში წაგებისთვის თანამდებობიდან გადადგომა ემუქრებოდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, კლუბის პრეზიდენტს კლაუს ჰარტმანს გუნება ეცვალა და ნიურურერი შეიწყვალა.

— ჩვენ მასთან მუშაობის გაგრძელება გვსურს — განაცხადა ჰარტმანმა.

„ბაიერნმა" მატჩის დასაწყისშივე მოითავა ძირითადი საქმე. კარსტენ იანკერმა და კრისტიან ნერლინგერმა 21 წუთში 2:0 გახადეს. ამის შემდეგ მასპინძლებმა შებოჭვეს მოწინააღმდეგე და 48 ათასი გულშემატკივრის საიმედოდ, 32-ე წუთზე ანგარიშის სხვაობა შეამცირეს. შესვენების შემდეგ კიდევ უფრო ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. რომ არა მიუნხენელთა გოლკიპერის ოლივერ კანის ორი-სამი საუცხოო ნახტომი, „კიოლნი" გაათანაბრებდა და შესაძლოა წინაც გასულიყო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე სულ ცოტა წამებით ადრე შეცვლაზე შესულმა მეჰმეთ შოლმა იმარჯვა და მასპინძელთა იმედს საბოლოო და ცივი წყალი გადაასხა.

— ერთობ მომეწონა, პირველ ტაიმში როგორ ვაკონტროლებდით ვითარებას, მეორე ტაიმში კი ბედმაც გადმოგვხედა და ოლივერ კანმაც დიდი სამსახური გაგვიწია — განაცხადა თამაშის შემდეგ „ბაიერნის" იტალიელმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში სტამბოლში მიღწეული წარმატება დორტმუნდის „ბორუსიას" ბუნდესლიგური მარცხით შეეცვალა.

— დღეს პირველ ათ წუთში წავაგეთ და ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ფეხბურთელებმა ყურადღების საკმარისი კონცენტრაცია ვერ მოახერხეს. შემდეგ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სამწუხაროდ გვიანი აღმოჩნდა — ასე შეაფასა ბრემენში „ვერდერთან" წაფორხილება ჩემპიონთა თასის მფლობელის თავკაცმა ნევიო სკალამ, ბუნდესლიგის მეორე იტალიელმა მწვრთნელმა.

გამართლების ძიება მოუხდა თბილისის „დინამოს" დამაქცევარის, ლევერკუზენის „ბაიერნის" ხელმძღვანელ კრისტოფ დაუმსაც:

— ვიმედოვნებდი, რომ ჩემპიონთა თასზე „ლიერსთან" მოგება სწორედ ის აღმოჩნდებოდა, რაც ჩემს ფეხბურთელებს ასე აკლდათ. მეგონა, ისინი საკუთარ ძალებს ირწმუნებდნენ და თამაშისას მეტ რისკს გასწევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გასულ ტურებში მსაჯებმა ძალიან ბევრჯერ გაგვაფრთხილეს.

კაიზერი	7	6	1	0	16:6	19
ბაიერნი	7	5	1	1	17:6	16
ჰანზა	7	4	1	2	10:6	13
დუისბურგი	7	4	1	2	8:8	13
შალკე	7	3	2	2	7:7	11
დორტმუნდი	7	2	3	2	12:8	9
გლადბახი	6	2	3	1	11:9	9
ჰამბურგი	7	2	3	2	10:10	9
არმინია	7	3	0	4	8:8	9
შტუტგარტი	6	2	2	2	9:7	8
კარლსრუე	7	2	2	3	14:18	8
ვოლფსბურგი	7	2	2	3	10:14	8
ვერდერი	7	2	2	3	10:14	8
ლევერკუზენი	7	2	1	4	14:12	7
მიუნხენ 1860	7	1	4	2	9:10	7
ბოხუმი	7	2	1	4	9:14	7
კიოლნი	7	2	1	4	11:17	7
ჰერტა	7	0	2	5	4:15	2

მეორე ბუნდესლიგა

მე-7 ტური. აინტრახტი — ლაიფციგი 3:2; ზანქტ პაული — ვატენშაიდი 1:1; ცვიკაუ — ფორტუნა 0:1; უნტერჰახინგი — კოტბუსი 0:0; ფიურტი — კიკერსი 1:2; მეპენი — ნიურნბერგი 1:0; მაინცი — დიუსელდორფი 2:0; გიუტერსლო — კარლ ცაისი 1:0

აინტრახტი	7	6	1	0	13:5	19
ფრაიბურგი	6	4	1	1	14:8	13
უნტერჰახინგი	7	3	3	1	11:6	12
ურდინგენი	6	3	3	0	9:5	12
გიუტერსლო	7	3	3	1	10:7	12
ფორტუნა	7	3	3	1	8:7	12
მეპენი	7	2	4	1	9:8	10
ზანქტ პაული	7	2	4	1	7:7	10
მაინცი	7	2	2	3	12:11	8
კოტბუსი	7	2	2	3	6:6	8
ლაიფციგი	7	2	2	3	10:12	8
კიკერსი	7	2	2	3	10:12	8
ვატენშაიდი	7	1	4	2	6:7	7
ფიურტი	7	1	3	3	7:11	6
ცვიკაუ	7	1	2	4	9:12	5
კარლ ცაისი	7	1	2	4	6:12	5
დიუსელდორფი	7	0	4	3	9:14	4
ნიურნბერგი	7	1	1	5	9:15	4

პორტუგალია

მე-4 ტური. კამპომაიორენსე — ვარზიმი 1:1; აკადემიკა — სალგეირუში 2:1; რიუ ავე — ბენფიკა 3:1; ფარენსე — შავეში 1:0; ამადორა — ბელენენსეში 1:1; სტუბალი — მარიტიმუ 1:1; ბრაგა — გიმარაეში 3:2. სპორტინგი — ბოავიშტა და ლეცა — პორტუ დღეს გაიმართება

პორტუ	3	3	0	0	8:0	9
რიუ ავე	4	3	0	1	8:4	9
გიმარაეში	4	3	0	1	6:4	9
ფარენსე	4	2	2	0	6:2	8
ბრაგა	4	2	2	0	9:7	8
მარიტიმუ	4	2	2	0	6:4	8
აკადემიკა	4	2	1	1	5:3	7
სტუბალი	4	1	2	1	4:4	5
ვარზიმი	4	1	2	1	2:3	5
ბენფიკა	4	1	1	2	6:5	4
სპორტინგი	3	1	1	1	2:1	4
სალგეირუში	4	0	3	1	2:3	3
ბოავიშტა	3	1	0	2	3:5	3
ლეცა	3	0	2	1	1:2	2
ბელენენსეში	4	0	2	2	3:8	2
კამპომაიორ.	4	0	2	2	2:7	2
ამადორა	4	0	2	2	2:7	2
შავეში	4	0	0	4	1:7	0

პოლონეთი

მე-8 ტური. ოდრა — გურნიკი 3:1; პეტროხემია — ამიცა 1:0; რუხი — ლეხი 3:0; რაკოვი — ზაგლებიე 1:1; გროცლინი — ლკს 0:0; სტომილი — გკს 1:0; ვიძევი — ვისლა 1:1; პოლონია — ოსტროვიეცი 2:0. პოგონი — ლეგია გადაიდო

ვიძევი	8	5	1	2	15:4	16
ლკს	8	5	1	2	10:6	16
ლეხი	8	4	2	2	11:6	14
სტომილი	8	4	1	3	9:7	13
გკს	8	3	3	2	14:9	12
ოდრა	8	4	0	4	10:11	12
ვისლა	8	3	3	2	8:11	12
ამიცა	8	3	2	3	10:7	11
ლეგია	7	2	4	1	12:8	10
რუხი	8	2	4	2	13:11	10
ზაგლებიე	8	3	1	4	9:9	10
პოლონია	8	2	4	2	8:8	10
პეტროხემია	8	3	1	4	6:11	10
გროცლინი	8	2	3	3	6:8	9
პოგონი	7	2	2	3	8:10	8
გურნიკი	8	2	2	4	11:20	8
ოსტროვიეცი	8	1	3	4	7:12	6
რაკოვი	8	1	3	4	5:14	6

ბელგია

მე-6 ტური. ვესტერლო — ანტვერპენი 5:2; ლოკერენი — გენტი 3:2; ანდერლეხტი — მუსკრონი 1:2; ლომელი — გენკი 3:1; სტ. ტრიუდენი — ლიერსი 0:5; ეკერენი — შარლეროა 5:0; ბრიუგე — მოლენბეკი 4:0; ჰარელბეკი — ბევერენი 1:1; აალსტი — სტანდარდი 1:1

ლომელი	6	5	1	0	19:7	16
ბრიუგე	5	5	0	0	15:2	15
გენკი	6	5	0	1	19:8	15
ლიერსი	6	3	1	2	13:7	10
ეკერენი	6	3	1	2	12:9	10
ლოკერენი	6	3	0	3	9:14	9
შარლეროა	6	2	2	2	5:11	8
ჰარელბეკი	6	1	4	1	6:6	7
ვესტერლო	6	2	1	3	12:16	7
მოლენბეკი	6	2	1	3	7:11	7
გენტი	6	1	3	2	10:9	6
აალსტი	6	1	3	2	7:8	6
მუსკრონი	6	1	3	2	5:6	6
ბევერენი	6	1	3	2	6:8	6
ანდერლეხტი	5	2	0	3	4:7	6
სტანდარდი	6	1	2	3	8:9	5
სტ. ტრიუდენი	6	1	1	4	4:14	4
ანტვერპენი	4	0	0	4	4:13	0

საბერძნეთი

მეორე დივიზიონი

მე-4 ტური. ელჩე — ლოგრონიესი 5:0; ორენსე — ლეგანესი 4:0; ეიბარი — ოსასუნა 0:1; ლას პალმასი — ლევანტე 1:2; ხერესი — სევილია 1:0; ლეიდა — ალავესი 1:2; ვილიარეალი — ნუმანსია 0:1; ესტრემადურა — ბადახოსი 0:0; ხაენი — ატლეტიკო 1:1; ალბასეტე — ერკულესი 1:0; ტოლედო — რაიო 1:1

ესტრემადურა	4	3	1	0	5:0	10
სევილია	4	3	0	1	10:2	9
რაიო	4	2	2	0	8:1	8
ატლეტიკო	4	2	2	0	5:2	8
ალავესი	4	2	1	1	9:5	7
ალბასეტე	4	2	1	1	5:5	7
ტოლედო	4	2	1	1	4:5	7
ბადახოსი	4	1	3	0	6:1	6
ორენსე	4	2	0	2	5:2	6
ეიბარი	4	2	0	2	4:4	6
ნუმანსია	4	2	0	2	3:6	6
ვილიარეალი	4	2	0	2	3:7	6
ხერესი	4	1	2	1	1:1	5
ლეგანესი	4	1	2	1	2:5	5
ერკულესი	4	1	1	2	5:4	4
ოსასუნა	4	1	1	2	1:2	4
ლას პალმასი	4	0	3	1	4:5	3
ელჩე	4	1	0	3	6:8	3
ლევანტე	4	1	0	3	3:7	3
ხაენი	4	0	3	1	3:7	3
ლოგრონიესი	4	0	2	2	1:7	2
ლეიდა	4	0	1	3	2:9	1

ესპანეთი

ბადალონა	12	9	3	0	27:6	30
ატლეტიკი	12	7	1	4	23:12	22
ალავესი	12	5	3	4	15:14	18
ოსასუნა	12	5	3	4	16:18	18
ბეტისი	12	4	4	4	14:19	16
ესპანიოლი	12	4	3	5	16:19	15
ალბასეტე	12	3	5	4	17:15	14
ტენერიფე	12	4	2	6	16:18	14
ვალენსია	12	3	3	6	18:17	12
ალკორონი	12	2	1	9	8:32	7

ინგლისი

ტოტენჰემი	12	9	2	1	27:8	29
ლიდსი	12	8	3	1	24:9	27
ბლეკბერნი	12	7	3	2	21:11	24
ევერტონი	12	6	3	3	17:11	21
ლესტერ სიტი	12	6	3	3	17:14	21
ნიუკასლ იუნაიტედი	12	6	2	4	18:14	20
ბოლტონ	12	5	3	4	17:14	18
ბლეკბერნ	12	5	3	4	16:14	18
ბერმინგემ	12	5	3	4	15:14	18
ლივერპული	12	5	2	5	17:16	17
ასტონ ვილა	12	4	3	5	14:15	15
ვესტ ჰემ	12	4	2	6	14:17	14
ნიუკასლ	12	3	3	6	14:17	12
ბლეკბერნ	12	2	3	7	12:21	9
ბოლტონ	12	2	2	8	12:24	8
ევერტონ	12	1	3	8	12:24	6

ინგლისი

ტოტენჰემი	12	9	3	0	27:6	30
გრა

ველორბოლა

ესპანეთის ველოტური „ვუელტა“

საჩუქარი პატარას

18 სექტემბერი. მე-12 ეტაპი. ლეონიდან პონფერადამდე. 146 კილომეტრი.

ხუთშაბათს „ვუელტალზე“ სამთო ეტაპები დაიწყო. ლეონიდან პონფერადამდე მრბოლებს რამდენიმე ძნელი აღმართი ჰქონდათ ასავლელი. როგორც ამგვარ ტრასებზე ხდება ხოლმე, შუა გზაში პელოტონს ლიდერთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი გამოეყო, რომელშიც „ვუელტაზე“ გამარჯვების ყველა პრეტენდენტი მოხვდა და სპრინტერებს, გუნდების „შავ მუშებსა“ და მაჩანჩალებს გვარიანად გაუსწრო. ეტაპის ბოლოს მეორე სუნთქვა გაეხსნა ესპანელ რობერტო ჰერასს. მან ტუმპს ისე მოუმატა, რომ მეტოქეებს გადევნების სურვილი გაუქრო და უახლოეს კონკურენტს ფინიშის სწორზე 32 წამი მოუგო. „ვუელტას“ ორი ლიდერი — შვეიცარიელები ალექს ცულე და ლორან დიუფო გამარჯვებულს წუთნახევარზე მეტით ჩამორჩნენ. თავად ჰერასმა კი, რომელიც მანამდე საერთო ჩათვლაში მე-13 ადგილზე იმყოფებოდა, საქმე მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა და მე-8 ადგილზე აინაცვლა.

მე-12 ეტაპი. 1. რობერტო ჰერასი — 3.23,25; 2. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +29; 3. პასკალ რიშარი (შვეიცარია) +35; 4. პაველ ტონკოვი (რუსეთი) +40; 5. ალექს ცულე +1,36; 6. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +1,39; 7. ენრიკო ზაინა +1,42 (იტალია); 8. ლორან დიუფო +1,42.

19 სექტემბერი. მე-13 ტური. პონფერადადან ვალგრანდე პახარესამდე. 196 კილომეტრი.

პარასკევს დისტანცია კიდევ უფრო გართულდა — მრბოლებს სამი მთის გადავლა მოუხდათ, თანაც ბოლო 60 კილომეტრზე ამას ჭექა-ქუხილი და თავსხმა დაერთო. ეტაპის ბედი, ისევე, როგორც წინა დღეს, ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე გადაწყდა. რუსმა პაველ ტონკოვმა — 1996 წლის „ჯიროს“ გამარჯვებულმა, უიღბლო ბანესტოელი ხოსე ხიმენესი ამ დღესაც მეორე ადგილზე დატოვა და წლევანდელ სეზონში მეხუთე განსაკუთრებული ეტაპი მოიგო. საქმე ისაა, რომ ტონკოვს ორი დღით ადრე ბავშვი შესძენია და წინა ეტაპის მერე ვერტმფრენით წაიყვანეს პატარის სანახავად. მიუხედავად იმისა, რომ რუსი „ვუელტაზე“ ავადმყოფობდა და რბოლის მიტოვებასაც აპირებდა, ამ დღეს მეუღლეს გამარჯვებას შეპირებია და წარმატება თავის ოჯახს მიუძღვნა. ლიდერმა შვეიცარიელებმა ეტაპი კვლავ ძმური ერთობით დაამთავრეს, თუმცა დიუფომ მესამე ადგილს გამოჭრა ხელი და საპრიზო 4 წამით ცულესთან ჩამორჩენა შეამცირა. საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილზე მყოფი დანიელო კლაუს მიოლერი კი ერთერთ დაღმართზე ასფალტს დაასკდა, ველოსიპედისტთა წრეში ყველაზე პოპულარული ძალი — ლავიწი გაიტეხა და რბოლას გამოეთიშა. მარცხი შეემთხვა „ვუელტას“ ყოფილ ლიდერს ფრანგ ლორან ჟალაბერს. მისი ველოსიპედი რბოლისას უნებართვოდ შეაკეთეს, რისთვისაც ფრანგს ერთი წუთი მოაკლეს, ეტაპზე ბოლო ადგილზე გაამწესეს და „ონხეს“ გუნდს ქართული მასშტაბითაც კი საკმაოდ მცირე ჯარიმა — 200 შვეიცარიული ფრანკი დააკისრეს. პელოტონმა სათხილამურო ცენტრ პახარესში ოცი წუთის დაგვიანებით ააღწია, შვიდი დაქანცულ-დაზარალებული მრბოლი კი გუნდის მანქანებმა აიტანეს.

ვუელტას მორიგი მსხვერპლი

მე-13 ეტაპი. 1. პაველ ტონკოვი — 5:10,02; 2. ხოსე ხიმენესი +32; 3. ლორან დიუფო +53; 4. ივონ ლედანუა (საფრანგეთი); 5. ფერნანდო ესკარტინი; 6. ალექს ცულე — ყველას იგივე დრო.

20 სექტემბერი. მე-14 ეტაპი. ოვიედოდან კოლ დე ნარანკომდე. 169,5 კილომეტრი.

შაბათს „ვუელტზე“ მორიგი მთიანწვიმიანი ეტაპის ჯერი დადგა, მაგრამ წინა დღეებისგან განსხვავებით ლიდერები ამ დღეს პასიურობდნენ და დაწინაურების სურვილი არავის გამოუმჟღავნებია. სამაგიეროდ, მაჩანჩალებმა გამოიდეს თავი. ეტაპის შუისთვის ამათგან ხუთი პელოტონს გაექცა და თითქმის 15 წუთითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ლიდერთა შორის არც-ერთი იყო და ჯგროსაც დადევნება დაეზარა. ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე „შეუნიშნავ ხუთეულს“ ბანესტოელი ხოზე ვისენტე აკოსტა გამოეყო და გზის კიდეებში ჩამწკრივებულ თანამემამულეთაგან გამხნევებულმა სწრაფად ჩამოიტოვა ყველა მეტოქე. დანარჩენი მანძილი მან მარტოობაში გაიარა და თავის უიღბლო გუნდს მოულოდნელი გამარჯვება მოუტანა. უკანასკნელ აღმართზე „ვუელტაზე“ გამარჯვებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა შვეიცარიელმა ალექს ცულემ. მან გზის მცირე მონაკვეთზე ყველა უახლოეს კონკურენტს, მათ შორის დიუფოსა და ესკარტინს რამედენიმე წამი მოუგო და საერთო ჩათვლაში თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

მე-14 ეტაპი. 1. ხოსე ვისენტე გარსია აკოსტა — 4:07,10; 2. მარიანო პიკოლი (იტალია) +1,18; 3. ბრუნო ტიბუ (საფრანგეთი) +1,33; 4. მარტინ ხვასტია (სლოვაკეთი) +1,51; 5. დენი ნელისენი (ჰოლანდია) +2,34; 6. ალექს ცულე +10,14

საერთო ჩათვლა: 1. ალექს ცულე — 60:53,50; 2. ლორან დიუფო +1,13; 3. ფერნანდო ესკარტინი +2,28; 4. ივონ ლედანუა +3,57; 5. ენრიკო ზაინა (იტალია) +4,13...10. ლორან ჟალაბერი +9,33.

ლევან ჩხეიძე

ჩოგბურთი

მონიკა პრინცესაა

ტოკიო. იაპონია. პრინცესას თასი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი

ნახევარფინალები: მონიკა სელეში (1 აშშ) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:3, 6:1, არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2 ესპანეთი) — იაუკ ბაზუკი (5 ინდონეზია) 1:6, 7:6, 6:4

შაბათს ტოკიოში ნანატრი მზე გამოვიდა და ტურნირის ორგანიზატორებსაც, როგორც იქნა, მატჩების ცენტრალურ კორტზე გამართვის შესაძლებლობა მიეცათ. თუმცა იაპონელ ნაოკო სავამაცუს არც თანამემამულეთა მხარდაჭერამ უშველა. ტურნირზე პირველად განთესილი მონიკა სელეშის აგრესულ თამაშს მან ვერაფერი დაუპირისპირა. ბრძოლა თანაბარი მხოლოდ პირველი ექვსი გეიმის განმავლობაში იყო, მერე კი სელეშმა კლასით გაცილებით დაბლა მდგომ მეტოქეს ათიდან ცხრა გეიმი მოუგო, ქანცის გაწყვეტამდეც არბენინა და საქმე 54 წუთში მოითავა. სამაგიეროდ, დიდი ბრძოლა გაჩაღდა ინდონეზიელი ბაზუკისა და არანჩა სანჩესის შეხვედრაში. პირველ სეტში აზიელი ბადესთან ხშირად მირბოდა და მეტოქეს თამაშს მუდმივად უმწვავებდა. ერთ დროს არანჩა ამეებზე ყურსაც არ შეიბერტყავდა, მაგრამ ეს ერთი წელია, საქმეები ცუდად მიუდის, ერთი ხანობა ათეულიდანაც კი გაეარდა, ჰოდა, მეტოქეებიც ზედმეტად შეუთამამდნენ. ბაზუკიმ პირველი ხელი უბრძოლველად მოიგო, მეორეში თავიდან დაწინაურდა კიდეც, მაგრამ წაგებას იტანებული სანჩესი ვაჯიქდა და 7 ძატჩ-პოინტი გადაარჩინა, საბოლოოდ კი ტაი-ბრეიკზე მეორე ხელი მოიგო კიდეც. ფსიქოლოგიურად გატეხილი ინდონეზიელი მესამე სეტში მაინც უძალიანდებოდა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, მაგრამ...

ფინალი: სელეში — სანჩეს-ვიკარიო 6:1, 3:6, 7:6 (7:5)

მონიკა სელეში ესპანელ ჩოგბურთელებს არ სწყალობს — არანჩა სანჩესთან და კონჩიტა მარტინესთან პირად შეხვედრებში მხოლოდ თითოჯერ აქვს წაგებული, მოგებული კი, შესაბამისად, 14-ჯერ და 11-ჯერ, თოთხმეტი ტოკიოს მატჩის ჩაუთვლელად. შარშანდელ ფინალშიც ეს მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს, იმ თამაშის შედეგს კი ალბათ თავადაც მიხვდებით. ჰოდა, რაღა გასაკვირი იყო, ესპანელმა დიაცმა თამაში მუხლების კანკალით რომ დაიწყო. სელეშმა, როგორც სჩვევია, თავიდანვე ომახიანად შემოსძახა — თითოეულ დარტყმას წივილ-კივილს არ აკლებდა და დაფეთებული მეტოქე მთლად დაიბრიყვა. პირველ სეტში მან სამჯერ წაართვა მოწოდება სანჩესს, ხელის მოსაგებად კი სულ 24 წუთი დასჭირდა. მაყურებელი მორიგი ცალკარა და ხანმოკლე მატჩისთვის განეწყო, მაგრამ წყალწაღებული ესპანელი გონს მოვიდა, უნებლიე შეცდომებს საგრძნობლად უკლო და მატჩის ბედი შემოაბრუნა. აღმოჩნდა, რომ აღარც სელეშია ის ჩოგბურთელი, მარტო ესპანელები კი არა, ყველა კუთხე-კუნჭულის ქალები რომ ჭყავდა დაწიოკებული. მესამე ხელში ჩოგბურთელებმა შესანიშნავად ითამაშეს, თუმცა გაჭიანურებულ სეტში უპირატესობას ვერცერთმა მიაღწია და ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. მონიკამ თავისი პირველივე მატჩ-პოინტი გამოიყენა — ესპანელი მძლავრი დარტყმით უკანა ხაზს მიაჯაჭვა და აუღებელი შემოკლებული გადაუგდო, რომლის დაწევა სანჩესს არც უცდია. სელეშმა ზედიზედ მეორედ, სულ კი მეოთხედ მოიგო „პრინცესას თასი“ და ამ ჯერზე 79 000 დოლარი ირგუნა. დაჩაგრულმა ესპანელმა კი ესღა თქვა, მომავალშიც ჩამოვალ და იქნებ მესამედ მაინც გამიმართლოსო.

ავთანდილ სვანიძე

ავტორბოლა

ფორმულა 1 XIV ეტაპი ავსტრიის დიდი პრიზი

ესენი ახლა იწყებენ

შტირიაში, A 1 რინგზე გამართულ რბოლაში გამარჯვებით ჟაკ ვილნევმა ჩემპიონატის ლიდერ მიხაელ შუმახერთან სხვაობა 1 ქულამდე შეამცირა, „უილიამსის“ გუნდი კი კონსტრუქტორთა პაექრობაში დაწინაურა კიდეც.

რბოლის წინა დღეს კანადელმა კვალიფიკაციაშიც ყველას აჯობა 1.10,304; მისი მთავარი მეტოქე, „ფერარის“ ლიდერი კი მე-9 პოზიციას დასჯერდა — 1.11,056; ავსტრიელთა იმედმა გერჰარდ ბერგერმა მე-18 დრო აჩვენა 1.11,620. საკვალიფიკაციო რბოლა კარგად ჩაატარეს „სტიუარტის“ პილოტებმა და მოწინავეთა შორისაც აღმოჩნდნენ. „პროსტის“ იარნო ტრულიმ (1.10,511) კი მესამე სასტარტო პოზიცია მოიპოვა.

რბოლის წინ გასახურებელ წრეზე ბერგერმა ბოქსებში შეუხვია და სტარტზე ბოლო გამოვიდა. ადგილიდან პირველი ჰაკინენი დაიძრა, მას ვილნევი მიჰყვა, მაგრამ იქვე ტრულიმ და ბარიჩელომ გაასწრეს. შუმახერმა კი მეცხრედან მეშვიდეზე გადაინაცვლა. ამ დროს პირველი ექვსეული ასეთი გახლდათ: ჰაკინენი, ტრული, ბარიჩელო, ვილნევი, მაგნუსენი, ფრენცენი. პირველი წრის ბოლოს კვლავ არ გაუმართლა მიკა ჰაკინენს და მისი „მაკლარენი“ სტარტ-ფინიშის სწორზე, ტრასის განაპირას გაჩერდა. პირველ ადგილზე „პროსტის“ წარმომადგენელი ტრული აღმოჩნდა. ახალგაზრდა იტალიელი დამარჯერებლად ლიდერობდა, რამდენჯერმე წრის რეკორდიც დაამყარა და ნელ-ნელა დაშორდა მდევრებს — ბარიჩელოსა და ვილნევს, რომელიც ბრაზილიელთან მიახლოებასა და გასწრებას ცდილობდა. კანადელი პარტნიორი ფრენცენი კი „სტიუარტის“ მეორე პილოტის, მაგნუსენის ჩამოტოვებას ლამობდა. „სტიუარტის“ ახალგაზრდა პილოტები კარგა ხანს ახერხებდნენ მრისხანე მეტოქეების შეკავებას და არც სისწრაფეში უდებდნენ ტოლს.

სიტუაციის გამწვავება პირველ ათეულს მიღმა დაიწყო: ალეზმ ირვინს შეუტია და ჩამოიტოვა კიდეც. მას ფიზიკელაც მიჰყვა და ირლანდიელი მეთორმეტე ადგილზე აღმოჩნდა. შემდეგ უილიამსელებს მოსწყინდათ ჯეკი სტიუარტის პილოტთა დევნა და ვილნევმა ბარიჩელო ჩამოიტოვა, მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ჩამორჩენის ნელ-ნელა შემცირება დაიწყო. ცოტა ხანში ფრენცენი მესამეზე აღმოჩნდა, რაშიც სტიუარტელების ბოქსებში შესვლაც მიეხმარა, უფროსი შუმახერი კი მეოთხეზე გადავიდა. ბოქსებიდან დაბრუნებული ბარიჩელო და მაგნუსენი კი მე-11 — მე-13 ადგილებზე აღმოჩნდნენ. შემდეგ კვლავ ჩამორჩენილთა ჯერი დადგა და ირვინმა, მორბიდელმა და ნაკანომ კარგა ხანს შეიქციეს მაყურებელი, სანამ მე-14 — მე-16 ადგილები არ დაინაწილეს. ამასობაში რბოლის 20 წრეც გაილია და ვილნევი 7,4 წამს აგებდა ტრულისთან. იტალიელის უპირატესობა ნელ-ნელა დნებოდა, 34-ე და 36-ე წრეებზე ვილნევმა ტრასის რეკორდი დაამყარა და სხვაობაც 4 წამამდე შეამცირა, მალე კი ტრული ბოქსებში შევიდა და იქიდან მე-5-ზე დაბრუნდა. პირველობა ვილნევს ერგო, რომელიც მეორეზე მყოფ ფრენცენს თითქმის 20 წამს უგებდა. 38-ე წრეზე ირვინს ალეზმ შეუტია. ირლანდიელმა, მისთვის ჩვეულად, არ ისურვა „ბენეტონის“ გატარება, ალეზი „ფერარის“ წამოედო, ჰაერში აიჭრა, ირვინის ბოლიდის წინა ნაწილს გადააფრინდა და ტრასის მიღმა დაეშვა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. „ფერარის“ მეორე პილოტმა კი, უკვე ტრადიციულად, ინციდენტის შემდეგ რბოლა განაგრძო, თუმცა დაზიანებული ავტოთი მხოლოდ ბოქსებში შესვლა მოახერხა. ამავე პერიოდში გერმანელებმა — ფრენცენმა და შუმიმ გაცვალეს პოზიციები და მიხაელი მეორე ადგილზე გავიდა. რბოლის ლიდერმა კი მექანიკოსებს მიაკითხა ახალი საბურავებისა და საწვავისთვის. ვილნევი ბოქსებიდან კულჰარდის უკან და ტრულის წინ დაბრუნდა. ამან რბოლის ბედი თითქმის გადაწყვიტა, რადგან კანადელის წინ მყოფნი ბოქსებში იყვნენ შესასვლელი. ასეც მოხდა და 43-ე წრეზე ვილნევმა პირველობა კვლავ დაიბრუნა, შუმი ბოქსებში ვიზიტის შემდეგ მეოთხეზე აღმოჩნდა, კულჰარდი კი მე-7-ზე. ამავე დროს „სტიუარტის“ პილოტებმაც დაიბრუნეს სტარტზე მოპოვებული ადგილები ექვსეულში. თუმც კი კიდევ უწევდათ ბოქსებში შესვლა, რაც ქულების მოპოვებას სათუოს უხდიდა. მალე მსაჯებმა შუმი 10-წამიანი შეჩერებით დააჯარიმეს და გერმანელი ექვსეულის მიღმა დარჩა. მესამეზე მყოფი კულჰარდი ნელ-ნელა უახლოვდებოდა წინ მავალ ტრულის და მალე სხვაობა 0,6 წამამდე შეამცირა, მაგრამ ძალების დიდი დაძაბვა აღარ დასჭირვებია მეორე პოზიციის მოსაპოვებლად. 57-ე წრეზე ნაკანოს „პროსტი“ აბოლდა, ერთი წრის შემდეგ კი ტრულის ბოლიდმა მიბაძა თანაგუნდელისას, კულჰარდმა კი ვილნევთან მიახლოება დაიწყო და საკმაოდ წარმატებითაც — ფინიშამდე 8 წრით ადრე 3,8 წამს აგებდა, სამი წრის გავლის მერე კი 2,6.

დაჯარიმებული შუმი კი ბარიჩელოს უტეედა, ერთ-ერთ მოსახვევში კი გაუთანაბრდა კიდეც. ბრაზილიელმა პოზიციის შენარჩუნება მოინდომა, მაგრამ ბოლიდი ვერ დაიმორჩილა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა, გერმანელი კი თავის ძველ მეტოქეს, ჰილს ჩაუდგა კვალში, ფინიშამდე ორი წრით ადრე მარჯვენა მოსახვევში შესვლისას გაასწრო და საბოლოოდ ერთი ქულაც მიითვალა.

ჟაკ ვილნევმა თავისი 30-ე რბოლა გამარჯვებით აღნიშნა, თანაც ეს მისი მეათე პირველი ადგილია კარიერაში, ამ სეზონში კი მეექვსე დიდი პრიზი მოიპოვა. ტიტულისთვის მებრძოლთა შორის სხვაობა 1 ქულამდე შემცირდა. დარჩენილ სამ რბოლაში ორივეს ყველაფრის თავიდან დაწყება უწევს.

ალეკო ჯაბუაანი

რბოლის შედეგები

1. ვილნევი (უილიამს-რენო)	1:27.35,999 (210,228 კმ-სთ)	10 ქულა
2. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი)	1:27.38,908	6
3. ფრენცენი (უილიამს-რენო)	1:27.39,961	4
4. ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო)	1:27.48,126	3
5. რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო)	1:28.07,858	2
6. მ. შუმახერი (ფერარი)	1:28.13,206	1
8. ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი)	1:28.25,056	
9. მორბიდელი (ზაუბერ-ფერარი)	1:28.42,454	
10. ბერგერი (ბენეტონ-რენო) ჩამორჩა	1 წრით	
11. კატაიამა (მინარდ-ჰარტო)	2 წრით	
12. ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი)	2 წრით	
13. დინიცი (ეროუს-იამაჰა)	4 წრით	
14. ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი)	7 წრით (რბოლა არ დუმთავრებია)	

საუკეთესო წრე რბოლისას

ვილნევი 1.11,814 (216,709 კმ-სთ) 36-ე წრე

რბოლას გამოეთიშნენ

ტრული (პროსტ-მუგენ-ჰონდა)	58 წრეზე
მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი)	58-ე
ნაკანო (პროს-მუგენ-ჰონდა)	57-ე
სალო (ტირელ-ფორდი)	48-ე
ირვინი (ფერარი)	38-ე
ალეზი (ბენეტონ-რენო)	7-ე
ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი)	1

პირადი პირველობა

1. მ. შუმახერი — 68 ქულა; 2. ვილნევი — 67; 3. ფრენცენი — 31; 4. კულჰარდი — 30; 5. ალეზი — 28; 6. ბერგერი — 21; 7. ფიზიკელა — 20; 8. ირვინი — 18; 9. პანი — 18; 10-11. ჰაკინენი და ჰერბერტი 14-14; 12. რ. შუმახერი — 13; 13. ჰილი — 7; 14. ბარიჩელო — 6; 15. ვურელი — 4; 16. ტრული — 3; 17-18. სალო და ნაკანო — 2-2; 19. ლარინი — 1.

გუნდური პირველობა

1. უილიამს-რენო 98 ქულა; 2. ფერარი 86; 3. ბენეტონ-რენო 53; 4. მაკლარენ-მერსედესი 44; 5. ჯორდან-პეჟო 33; 6. პროსტ-მუგენ-ჰონდა 20; 7. ზაუბერ-ფერარი 15; 8. ეროუს-იამაჰა 7; 9. სტიუარტ-ფორდი 6; 10. ტირელ-ფორდი 2.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლაშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოძრომჯედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29